საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
Ministry of Education and Science of Georgia

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში

Introduction of Inclusive Education in Vocational Education and Training System of Georgia

2014 – 2015

NORWEGIAN MINISTRY
OF EDUCATION AND RESEARCH

ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში

Introduction of Inclusive Education in Vocational Education and Training System of Georgia

2014 – 2015

NORWEGIAN MINISTRY
OF EDUCATION AND RESEARCH

ანგარიში მოამზადეს:
მარიკა ზაქარეიშვილმა (პროექტის დირექტორი)
მაია ბაგრატიონ-გრუზინსკიმ (პროექტის მენეჯერი)
ნინო ტაბიძემ (პროექტის ტექნიკური მენეჯერი)
ბესიკ ცხოვრებაშვილმა (პროექტის ასისტენტი)
გიორგი სურმანიძემ (პროექტის ფინანსური მენეჯერი)

Report developed by:
Marika Zakareishvili (Project director)
Maia Bagrationi-Gruzinski (Project manager)
Nino Tabidze (Project technical manager)
Besik Tskhovrebashvili (Project assistant)
Giorgi Surmanidze (Project financial manager)

This report has been prepared within the framework of the project
"Introduction of Inclusive Education in Vocational Education and Training System in Georgia"

ანგარიში მომზადებულია პროექტის - „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს
პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" - ფარგლებში

შინაარსი

შესავალი 8

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები 9

ინდივიდუალური მიდგომები ინკლუზიური პროფესიული განათლებისას 14

მხარდამჭერი სერვისები ინკლუზიური პროფესიული განათლებისას 20

ინკლუზიური პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა 24

საგანმანათლებლო რესურსების შექმნა 28

პროფესიული განათლებიდან დასაქმებისკენ 31

ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემა 35

ინკლუზიური პროფესიული განათლების გამოწვევები 38

2016 წლის ინიციატივები 41

Table of contents

Preface 8

Vocational Students with Special Educational Needs 9

Individual Approaches in Inclusive Vocational Education 14

Inclusive Vocational Education Support Services 20

Provision of Inclusive Vocational Education Quality 24

Development of Educational Resources 28

From Vocational Education to Employment 31

Inclusive VET system 35

Challenges in Inclusive Vocational Education 38

Initiatives for 2016 41

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების სისტემურ მხარდაჭერასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის პროფესიული განათლების თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას.

ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების გზით ხორციელდება პროფესიული განათლების რეფორმის მხარდაჭერა, რაც პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის[1] ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებისა და შრომის უფლებების რეალიზებას, რაც სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებაა (26 დეკემბერი, 2013 წელი) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის"[2] შესაბამისად.

პროფესიული განათლების სისტემაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სწავლების ფუნდამენტური პრინციპებია:

- სტუდენტთა აღჭურვა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარ-ჩვევებით;
- პროფესიული განათლების მიწოდება სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად;

1 საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის N300 ბრძანება „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე".

2 საქართველოს პარლამენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოხდა 2013 წლის 26 დეკემბერს.

Preface

The Ministry of Education and Science of Georgia continues its systemic support of inclusive vocational education within the Vocational Education and Training (VET) system and the development of equal opportunities for persons with special educational needs.

The introduction and development of inclusive education is a significant element in the reform of vocational education and one of the key principles of the Vocational Education Development Strategy[1].

The initiative of the Ministry of Education and Science of Georgia promotes the realization of the rights of persons with special educational needs/disabilities in education and employment, something the Georgian government is obliged to provide under the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (December 26, 2013)[2].

Education of students with special educational needs within the VET system is based on the following fundamental principles:

- Equipping of students with skills relevant for the labor market;
- Provision of vocational education in accordance with individual abilities, interests and needs of students;
- Support for graduate employment in the open labor market.

To establish an inclusive vocational education support system, the Ministry of Education and Science of Georgia is carrying out analyses of current needs and is responding with relevant measures.

1 The Order of the Prime Minister of Georgia; #300, December 26, 2013 - „On Approval of Vocational Education reform Strategy (2013-2020)"

2 The Convention on the Rights of Persons with Disabilities" has been ratified by the Parliament of Georgia on December 26, 2013.

▸ კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა ღია შრომის ბაზარზე.

ინკლუზიური პროფესიული განათლებისა და დასაქმების მხარდამჭერი სისტემის შენებისას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აანალიზებს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ საჭიროებებს და თავისი აქტივობებით ახდენს მათზე რეაგირებას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების ინიციატივა მხარდაჭერილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს დაფინანსებით.

აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია 2014-2015 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებული ინიციატივის შედეგები, გაანალიზებულია სისტემაში არსებული გამოწვევები და მოცემულია მომავლის გეგმები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები

2013 წლიდან სულ უფრო მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გამოთქვამს სურვილს, მიიღოს პროფესიული განათლება და შესაბამისად, დინამიკაც დადებითია: თუკი 2013 წელს, პირველი მიღებისას, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 51 იყო, 2015 წლის საშემოდგომო მიღებისას მათი რიცხვი 180 გახდა.

The initiative of inclusive vocational education is supported by the Georgian government through the state budget and funds provided by the Norwegian Ministry of Education and Research.

This document presents the outcomes of the initiatives implemented by The Ministry of Education and Science of Georgia in close cooperation with the Norwegian Ministry of Education and Research.

Vocational Students with Special Educational Needs

The increasing trend of people with special educational needs seeking vocational education has been noted since 2013. Indeed, the number of students with special educational needs being enrolled rose from 51 in 2013, to 180 in fall 2015.

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა / **Number of Enrolled Students**



აღნიშნული დინამიკა მიუთითებს შემდეგ გარემოებაზე: თანამიმდევრულად იზრდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა და მათი ოჯახების ინფორმირებულობა ინკლუზიური პროფესიული განათლების შესაძლებლობის შესახებ; მატულობს მოტივაცია აღნიშნულ პირთა მხრიდან და იზრდება ნდობა პროფესიული საგანმანათლებლო სისტემისადმი.

საქართველოს მასშტაბით ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინერგება ინკლუზიური პროფესიული განათლება. 2015 წლის მდგომარეობით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები 23 საგანმანათლებლო დაწესებულებაში იღებენ პროფესიულ განათლებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები ირიცხებიან 18 პროფესიულ კოლეჯში და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ 5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

This trend suggests that awareness of the opportunities in inclusive vocational education among persons with special educational needs and their family members is increasing and that their motivation and trust in the VET system is also rising.

Inclusive vocational education is being introduced in all VET institutions across Georgia. In 2015, a total of 23 VET institutions were providing vocational education to students with special educational needs.

Students with special educational needs are enrolled in 18 vocational colleges and five higher education institutions, providing vocational education programs.

სტუდენტების გადანაწილება საგანმანათლებლო დაწესებულებებში / Distribution of Students in VET Centers



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები პროფესიულ პროგრამებს არჩევენ თავიანთი ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ისინი გადანაწილებული არიან შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

Students with special educational needs select vocational education programs according to their interests and individual abilities. The distribution of these students in vocational educational programs is presented below.

2014 წ. სტუდენტების გადანაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

Distribution of Students in Vocational Educational Programs - 2014



2015 წ. სტუდენტების გადანაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
Distribution of Students in Vocational Educational Programs - 2015



2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამოცანაა, ყველა პირს მიაწოდოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, მიუხედავად მისი საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა. პროფესიულ განათლებას ეუფლებიან სტუდენტები შემდეგი საგანმანათლებლო საჭიროებებით:

Since 2013, the Ministry of Education and Science of Georgia has sought to provide quality vocational education to everyone, despite of their special educational needs or disabilities. Vocational education is provided to students with the following special educational needs:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება / შეზღუდული შესაძლებლობა

Number of students by special educational needs/disabilities



ინდივიდუალური მიდგომები ინკლუზიური პროფესიული განათლებისას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელმძღვანელობს სტუდენტზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის პროფესიული განათლების მიწოდების ყველა ეტაპზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირების ეტაპი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა	
დემოგრაფიული მონაცემები	მოსწავლის/პირის სახელი, გვარი
	პირადი ნომერი
	მისამართი
	ტელეფონის ნომერი
	დაბადების თარიღი
	ასაკი (წელი, თვე, რიცხვი)
შეფასება	შეფასების თარიღი
	შეფასების ადგილი
	შემფასებლები
შეფასების მეთოდოლოგია	გამოყენებული მეთოდი/ინსტრუმენტი
	შეფასების სფერო
	მომართვის მიზეზი
	რატომ დასჭირდა შეფასება, თუ არის წარსულში შეფასებული
სამედიცინო საჭიროება	დიაგნოზი
	მედიკამენტები (მიღების სიხშირე და ხანგრძლივობა)
	სოციალური ისტორია და ოჯახური გარემო
საგანმანათლებლო გამოცდილება	საჯარო სკოლა N
	კლასი
	საგანმანათლებლო ისტორია (საბავშვო ბაღი, სკოლა, პროფესიული კოლეჯი)

Individual Approaches to Inclusive Vocational Education

The Ministry of Education and Science of Georgia follows student-oriented individual approaches at all stages of the provision of vocational education and training for students with special educational needs.

Stage of Identification of Special Educational Needs

Assessment Form of the Multidisciplinary Team of the Ministry of Education and Science of Georgia	
Demographic Data	Student's/person's name, family name
	Personal ID #
	Address
	Phone #
	Birth date: (year, month, date)
	Age
Assessment	Assessment date:
	Assessment place:
	Evaluators:
Assessment Methodology	Applied technique /Tool
	Assessment area:
	Purpose of referral:
	Why the assessment is needed, if already was assessed in the past
Medical Needs	Diagnose
	Medications (frequency and duration of administration)
	Social History and family environment
Educational Experiance	Public school #
	Grade
	Educational history (Pre-school, school, VET college)

პროფესიული განათლების სისტემაში, პროფესიული განათლების მიღების მსურველად რეგისტრაციისას, პირს (აპლიკანტს) აქვს უფლება, მიუთითოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის ფაქტი.

თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირად დარეგისტრირებულ აპლიკანტს აფასებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ექსპერტთა გუნდი.

აპლიკანტის პიროვნული ფაქტორებისა და შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასების საფუძველზე ექსპერტთა გუნდი ინდივიდუალურად უზრუნველყოფს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებას ან უარყოფას;
- აპლიკანტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების აღწერას;
- რეკომენდაციებს აპლიკანტის პროფესიული ტესტირებისა და განათლების პროცესის მიწოდებისთვის.

ეს ინფორმაცია ფორმდება წერილობითი დოკუმენტის სახით და მიეწოდება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულება ხელმძღვანელობს აღნიშნული დოკუმენტით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიული ტესტირების პროცესის დაგეგმვისა და განათლების მიწოდებისას.

When registering as an applicant in the VET system, an individual (applicant) has the right to declare a special educational need.

Each person registered as an applicant having a special educational need is assessed by a team of experts, established at the Ministry of Education and Science.

Based on an in-depth assessment of personal factors and abilities of the applicants, the experts decide:

- Approval or rejection of special educational needs;
- Description of the individual educational needs of an applicant;
- Recommendations for an applicant's vocational testing and provision of vocational education.

Information is documented in written form and issued to the relevant VET institution for purposes of planning professional testing and provision of vocational education.

შეფასების სფეროები	
მოტორული სფერო	მსხვილი მოტორიკა
	ნატიფი მოტორიკა
კოგნიტური ფუნქციები	აღქმა
	ყურადღება
	მეხსიერება (მხედველობითი, სმენითი)
	აზროვნება
	მეტყველება (რეცეპტული და ექსპრესიული)
	ვიზუალურ-სივრცითი უნარები
	ვიზუალურ-მოტორული უნარები
აკადემიური უნარები	წერა
	კითხვა
	თხრობა
	არითმეტიკა
ფუნქციური უნარები	თვითმომსახურების ჩვევები (ტუალეტის, კვების, ჩაცმისა და ჰიგიენის)
	სამუშაო, სასწავლო და საცხოვრებელი სივრცის ორგანიზება
	საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება
	ტრანსპორტით სარგებლობა
	ფულის მენეჯმენტი
	უსაფრთხოების დაცვა
	დროის მენეჯმენტი
ქცევა და ემოცია	კონფლიქტურ სიტუაციებში რეაგირება
	სხვათა დაზიანება
	თვითდაზიანება
	ტანტრუმი, პიკა, დესტრუქციული ქცევები
	სხვა...
კომუნიკაცია	წამყვანი საკომუნიკაციო საშუალებები
	კომუნიკაციის თავისებურებები თანატოლებთან და უფროსებთან
ინტერესი	საქმიანობები, რომლებსაც მოსწავლე განსაკუთრებული ინტერესითა და ჩართულობით ახორციელებს

Assessment Areas	
Motor Skills	Gross Motor skills
	Fine Motor skills
Cognitive	Functioning Perception
	Attention
	Memory (visual, hearing)
	Cognition
	Language (receptive and expressive)
	Visual - Spatial skills
	Visual - Motor skills
Academic skills	Writing
	Reading
	Narration
	Arithmetic (counting)
Functional Skills	Self-care skills (using toilet, eating, dressing)
	Organization of working, educational and living spaces
	Use of household equipment
	Use of transport
	Money management
	Security protection
	Time management
Behavior/ Emotions	Responding to conflict situations
	Injuries to others
	Self-injury
	Tantrum, pica, destructive behaviors
	Others
Communication	Key communication tools
	Specifics of communication with peers and adults
Interests	Activities that a student performs with special interest and engagement

დასკვნა: (მოიცავს პასუხს მომართვის მიზეზზე)

რეკომენდაციები:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრები:
(მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერა)

Conclusion: (Includes the answer to the purpose of referral)

Recommendations:
Members of the Multidisciplinary team of the Ministry of Education and Science of Georgia
(Signatures of at least 3 members)

პროფესიული განათლების სისტემაში რეგისტრაციის ეტაპი

პროფესიული განათლების სისტემაში, პროფესიული განათლების მიღების მსურველად რეგისტრაციისას, პირს (აპლიკანტს) აქვს უფლება, აირჩიოს (მონიშნოს) მისთვის საინტერესო სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინდივიდუალური ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; საბოლოო გადაწყვეტილება კი პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით პროფესიული პროგრამების პრაქტიკული მოსინჯვის შემდეგ მიიღოს.

პროფესიული ტესტირების ეტაპი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, აპლიკანტისთვის მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით იგეგმება პროფესიული ტესტირების პროცესი. პროფესიული ტესტირების პროცესს გეგმავენ პროფესიული პროგრამის მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ასისტენტი. დაგეგმვისას, აღნიშნული გუნდი ხელმძღვანელობს ექსპერტთა გუნდის მიერ უზრუნველყოფილი დასკვნით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიული ტესტირება გულისხმობს შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესაბა-

Registration in VET System



When registering as an applicant in the VET system, an individual (applicant) has a right to select (mark) three vocational education programs, according to his/her interests and abilities. Applicant makes a final decision on prioritized educational program after practical testing for vocational programs.

Professional Testing

In the event of approval of a special educational need, professional testing is arranged for the applicant, according to his/her individual characteristics. The testing is organized by a vocational education teacher, inclusive vocational education specialists and an assistant of students with special educational needs. In its planning, this team follows the conclusion and recommendations provided by the team of experts.

Professional testing of applicants with special educational needs implies practical realization of the vocational education program/programs, selected by the applicants. Practical realization is guided by

მისი აქტივობების პრაქტიკულ განხორციელებას. აქტივობის პრაქტიკულ განხორციელებას ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამის მასწავლებელი, ხოლო ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ასისტენტები აკვირდებიან და აფასებენ პროცესს.

აქტივობების პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვება რეფლექსია:

- რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმოჩნდა ყველაზე საინტერესო აპლიკანტისთვის?
- რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აქტივობას გაუმკლავდა აპლიკანტი სხვაზე უფრო ეფექტიანად და წარმატებით?
- რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისურვებდა აპლიკანტი სწავლას?

შემაჯამებელ შეხვედრაზე აპლიკანტი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული ტესტირებისას მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების მიღებისას აპლიკანტი ხელმძღვანელობს თავისი ინტერესებითა და შესაძლებლობებით.

პროფესიული განათლების მიწოდების ეტაპი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული სტუდენტისთვის პროფესიული განათლების მიწოდება იგეგმება ინდივიდუალურად მისი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად მსჯელობს: რამდენად არის შესაძლებელი, რომ სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სტანდარტული გზით და ფორმით დაეუფლოს; ხომ არ საჭიროებს სტუდენტი სასწავლო პროგრამის ადაპტაციას; მისაღწევი სწავლის შედეგების თვისებრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას

a vocational education teacher, inclusive vocational education specialists as well as assistants of students with special educational needs observe and evaluate the process.

Practical realization of activities is followed by reflection from students and organizers of professional testing:

- Which vocational educational program appeared most interesting to the applicant?
- Which vocational education program was handled by the applicant most effectively and successfully?
- Which education program would the applicant like to learn?

At the concluding meeting, the applicant makes a decision according to the experience acquired at professional testing. When taking a decision, the applicants naturally follow their interests and abilities.

Stage of Vocational Education Provision

Provision of vocational education for students with special educational needs is planned individually, taking into consideration their unique needs and abilities.

Together with the vocational education teacher, the inclusive vocational education team, functioning in VET institutions, discuss the following matters: whether it is possible to provide vocational education to a student with special educational needs in the standard manner and format; whether a student requires the educational program to be adapted in

და/ან სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების ცვლილებას.

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის ადაპტაციას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია აზუსტებდეს:

- სწავლის შედეგებს
- შესრულების კრიტერიუმებს
- კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებს
- მტკიცებულებებს
- საკონტაქტო სასწავლო დატვირთვას (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის)
- დროს დამოუკიდებელი სამუშაოსთვის
- განხორციელების მიდგომებს
- სასწავლო თემატიკასა და სწავლების მეთოდებს
- სასწავლო გარემოს
- რეკომენდებულ ტექნიკურ აღჭურვილობას თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის
- მასალებს, ნედლეულს, მათ ტექნიკურ მახასიათებლებსა და რაოდენობას
- მტკიცებულებების შეგროვების რეკომენდებულ მიდგომებს
- შეფასების რეკომენდებულ მიმართულებებსა და ინსტრუმენტებს
- სარეკომენდაციო ლიტერატურას ან/და ინფორმაციის წყაროებს
- საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას.

terms of setting alternative qualitative or quantitative learning outcomes and/or making alterations to instructional and assessment strategies.

If needed, an Individual Education Plan, based on the vocational education program/module and its adaptation is elaborated for a student with special educational needs.

Individual Education Plan May Clarify:

- Learning outcomes
- Implementation criteria
- Scopes of competence parameters
- Evidences
- Educational workload (for theoretical and practical classes)
- Time for independent work
- Implementation approaches
- Learning topics and teaching methods
- Educational environment
- Recommended technical equipment for theoretical and practical teaching
- Materials, raw materials, their quantity and technical specification
- Recommended approaches for evidence collection
- Recommended directions and tools of assessment
- Recommended reference list or/and informational resources
- Needed additional educational services

Individual Educational Plan is applied as a guidebook for the implementation of the educational process of students with special educational needs.

პროფესიული განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ეტაპი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი ინდივიდუალურად განიხილება.

სამართლიანობის დაცვით პროფესიული განათლების სისტემა აღიარებს კომპეტენციას, რომელსაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი დაეუფლა, თუნდაც მისი შედეგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვა სტუდენტთა მიღწევებისგან.

სრული ან ნაწილობრივი კვალიფიკაციის მისაღებად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს მოეთხოვება (სხვათა მსგავსად), დაადასტუროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპეტენციის არსებობა.

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი სასწავლო შედეგებს სრულად ვერ დაძლევს, მას კვალიფიკაცია არ მიენიჭება, თუმცა პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულება გასცემს ოფიციალურ ცნობას სტუდენტის მიერ დაგროვილი კომპეტენციების მითითებით.

მხარდამჭერი სერვისები ინკლუზიური პროფესიული განათლებისას

ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდი

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით, თითოეულ კოლეჯში დაფუძნდა ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტები.

Vocational Education Recognition and Qualification Awarding

Awarding of a relevant qualification to a student with special educational needs is discussed on an individual basis.

Based on fair principles, the achievements of a student with special educational needs is recognized by the VET system, even if his/her learning outcomes differ from other students' outcomes.

To be awarded full or partial qualification, a student with special educational needs is required (like others) to demonstrate that he or she has mastered the competences within the vocational education program.

In the event of incomplete achievement of learning outcomes, qualification is not awarded to a student with special educational needs, but the VET institution issues an official letter, specifying the acquired competences.

Inclusive Vocational Education Support services

Inclusive Vocational Education Support Team

To create a supportive environment for students with special educational needs in vocational education institutions, inclusive vocational education support teams consisting of inclusive vocational education specialists and the assistants of persons with special educational needs, have been established in each college.

The responsibilities of these specialists are outlined below:

Inclusive Vocational Education Specialist:

Directly supervises and actively manages students with special educational needs and provi-

აღნიშნული სპეციალისტების სამუშაო ვალდებულებას წარმოადგენს:

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი უშუალოდ ადევნებს თვალყურს და აქტიურად მართავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებისა და საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფის პროცესს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად აანალიზებს სტუდენტის დოკუმენტაციას, რათა სწავლის დაწყებამდე ადეკვატურად, სტუდენტის საჭიროებებისა და შესაძლებლობის შესაბამისად დაიგეგმოს სასწავლო პროცესი.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნაში, სასწავლო გარემოს მორგებაში და მასწავლებელთან ერთად აქტიურად მუშაობს სწავლების სტრატეგიებზე.

მას ევალება, თითოეული სტუდენტის შემთხვევას მიადევნოს თვალი, დარწმუნებული იყოს, რომ დამატებითი სერვისი ან მორგების საჭიროება დაკმაყოფილებულია.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი გაკვეთილის პროცესში ეხმარება სტუდენტს ჩაერთოს მიმდინარე სასწავლო აქტივობებში; მხარს უჭერს სასწავლებლის შიგნით მის ადაპტაციასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირებას სწავლისა და დასვენების პროცესში; ეხმარება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებსა და მასწავლებლებს ინდივიდუალური გეგმის განხორციელებაში; მონაწილეობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში და აკონტროლებს უსაფრთხოების პირობებს.

2015 წლის მდგომარეობით, 13 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობს

sion of needed services in vocational education institutions.

Together with vocational education teachers, he or she analyzes a student's documentation, with a purpose to plan the educational process adequately, considering the needs and abilities of a student.

Specialist involved in the development of the Individual Educational Plan, adjustment of educational environment and together with teachers actively working on the development of teaching strategies.

He or she is responsible for following each student's case, to be sure that additional services and appropriate accommodation are provided.

Assistant to a Person with Special Educational Needs:

Helps a student with special educational needs to engage in educational activities during lessons.

Supports in adaptation and independent functioning in the process of education and during breaks.

Helps inclusive vocational education specialists and teachers in realizing individual plans.

Participates in a process of safety provision and monitors safety conditions.

In 2015, there were 18 inclusive vocational education specialists and seven assistants of persons with special educational needs working in 13 vocational education institutions.

A positive trend of specialists' employment is noted in vocational education institutions to deal with the increasing number of students with special educational needs.

18 ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და 7 ასისტენტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღინიშნება სპეციალისტებისა და ასისტენტების დასაქმების დადებითი ტენდენცია. სასწავლებლები, სადაც მატულობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობა, უზრუნველყოფენ აღნიშნული კადრების დამატებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მხარდასაჭერად.

დამატებითი მხარდამჭერი სერვისები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმი და ახდენს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე დამატებით დაუყოვნებელ რეაგირებას.

აღნიშნული სერვისების უზრუნველყოფით იზრდება სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობა, თანამონაწილეობა და მიწოდებული პროფესიული განათლების ხარისხი.

2014-2015 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის დანერგა შემდეგი მხარდამჭერი სერვისები:

ჟესტური ენის თარჯიმნების მომსახურება სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის

აღნიშნული სპეციალისტები უზრუნველყოფენ სტუდენტთა თანხლებას პროფესიული განათლების მიღების ყველა ეტაპზე (პროფესიული ტესტირებისას, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისას, შეფასებისას და სხვა) და მათ მხარდაჭერას ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციისას.

მობილობისა და ორიენტაციის ტრენერების მომსახურება მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის

აღნიშნული სპეციალისტები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის საცხოვრებელი ადგილიდან

Additional Support Services

The Ministry of Education and Science of Georgia has developed a mechanism to immediately react to the needs of individuals with special educational needs.

Provision of these services enhances the engagement and participation of students in the educational process and improves the quality of provided vocational education.

Below the supportive services for students with special educational needs introduced by the Ministry of Education and Science in 2014–2015 are listed and described:

Sign language interpreters' service for deaf and hearing impaired students

These specialists ensure students' follow-up aassistance at each stage of vocational education (professional testing, theoretical and practical teaching, assessment, etc.) and support them in information sharing and communication.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებამდე გზისა და სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის დასწავლას, ორიენტაციის უნარის განვითარებას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სპეციალური ასისტენტების (ლაბორანტების) მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისთვის

აღნიშნული პირები უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერას სასწავლო გარემოში ფუნქციონირებისას, პირადი ჰიგიენის დაცვისას, უსაფრთხოებისას.

სატრანსპორტო საშუალების მქონე ასისტენტების მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისთვის

აღნიშნული მომსახურებით შესაძლებელი ხდება საცხოვრებელი ადგილიდან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებამდე სტუდენტის უსაფრთხო ტრანსპორტირება და შინ დაბრუნება.

Mobility and orientation trainers' service for students with visual impairment

These specialists help students to learn a route from their place of residence to the vocational education institution, to use the necessary means of transportation and to develop the orientation skills within the educational institution.

Special assistants' service (Lab. assistants) for students with intellectual and/or severe physical disability

These specialists ensure support of students with special educational needs in functioning in the learning environment, as well as the maintenance of hygiene and safety.

Transportation service for students with intellectual and/or severe physical disability

This service ensures a student's safe transportation from his or her place of residence to the vocational education institutions and back home.

2014 — 2015 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან დაფინანსებული მხარდამჭერი სერვისები

Support services financed by the Ministry of Education and Science in 2014-2015





- სპეციალისტის რაოდენობა / Number of Specialists
- სერვისის მომხმარებელ სტუდენტთა რაოდენობა / Number of students who use service

ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სასწავლო მასალებს ალტერნატიული ფორმატით.

კერძოდ, სუსტად მხედველ და უსინათლო სტუდენტებს სასწავლო სახელმძღვანელოები მიეწოდებათ ელექტრონულ ფორმატში. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, მათი გახმოვანების პირობებში, სტუდენტისთვის მისაწვდომი ხდება სახელმძღვანელოს შინაარსი.

დამატებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო პროფესიული განათლების ახალი, 2015 წელს შექმნილი სახელმძღვანელოების აუდიოჩანაწერების (ადამიანის მიერ გახმოვანებული სტუდიური ჩანაწერი) შექმნა. 2015 წელს ჩაიწერა ერთი აუდიოსახელმძღვანელო, 2016 წელს ჩაიწერება არსებული 26 სახელმძღვანელო.

ინკლუზიური პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ადამიანური რესურსის გაძლიერება

ინკლუზიური პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციის ასამაღლებლად სწავლების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების საკითხებში, რაც უმნიშვნელოვანესია განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის პროფესიული განათლების მიწოდებისას.

დაინერგა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაძლიერების მექანიზმი. კერძოდ, მასწავლებლის სახლმა შექმნა სპეციფიკური საგანმანათლებლო კურსები სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა მოსამზადებლად და/ან გასაძლიერებლად:

Adapted educational resources

If needed, the Ministry of Education and Science of Georgia provides alternative formats of educational materials for students with special educational needs. In particular, manuals are provided in electronic format for blind and low vision students. Audio recording of the manuals by special computer program makes their content accessible for students.

In addition, the Ministry of Education and Science started to create audio versions (human voice recorded in a studio) of vocational education manuals, developed in 2015. One audio-book was recorded in 2015 and 26 manuals will be recorded in 2016.

Provision of Inclusive Vocational Education Quality

Enhancement of Human Resources

To ensure the quality of inclusive vocational education, the enhancement of vocational education teachers' competence in the application of differentiated educational approaches is being carried out. This has crucial importance in the education of students with special educational needs.

A mechanism for the improvement and enhancement of professional qualification of specialists engaged in inclusive vocational education has been introduced. In particular, the following specific educational courses for training and/or retraining of specialists and interested individuals have been developed by the Teachers Professional Development Center:

Courses for sign language interpreters
The course is designed for sign language interpreters, other interested individuals and comprises: a) training of interested individuals as interpreters; b) enhancement of sign language interpreters' qualification.

ჟესტური ენის თარჯიმანთა კურსი
განკუთვნილია ჟესტური ენის თარჯიმნებისა და დაინტერესებულ პირთათვის და გულისხმობს:

ა) მსურველთა ჟესტური ენის თარჯიმნებად მომზადებას;
ბ) ჟესტური ენის თარჯიმანთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

ჟესტური ენის შესწავლის კურსი
განკუთვნილია ჟესტური ენის შესწავლის მსურველთათვის, თავად სმენის დარღვევის მქონე პირთათვის და გულისხმობს ჟესტური ენის შესწავლას ელემენტარულ დონეზე.

კურსი ყრუ ბავშვთა აღზრდის თავისებურებების შესახებ

სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლებისთვის შექმნილი კურსი გულისხმობს ყრუ პირთა განვითარების, განათლების თავისებურებებისა და კულტურის გაცნობას; მშობლისთვის მხარდაჭერის გზების წარდგენას; ჟესტური ენის სწავლებას.

კურსი ყრუ მოსწავლეთა სწავლების თავისებურებების შესახებ

ყრუ მოსწავლეთა მასწავლებლებისთვის შექმნილი კურსი გულისხმობს ყრუ პირთა განვითარების, განათლების თავისებურებებისა და კულტურის გაცნობას; მოსწავლეთა სწავლებისა და მათი მხარდაჭერის გზების წარდგენას; მასწავლებლებისთვის ჟესტური ენის სწავლებას.

კურსი სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების თავისებურებების შესახებ

ნარჩენი სმენისა და კოხლეარული იმპლანტის მქონე მოსწავლეების მასწავლებლებისთვის განკუთვნილი კურსი აცნობს მათ სმენის დარღვევის მქონე ბავშვების განვითარების თავისებურებებსა და სწავლების სტრატეგიებს.

კურსი მცირემხედველ მოსწავლეთა სწავლების შესახებ

საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის განკუთ-

Sign language courses

The course covers teaching of elementary sign language and is designed for individuals interested in learning sign language and for persons with hearing impairments.

Course on parenting deaf children
The course, designed for parents of children with hearing impairment, comprises the following issues: development of deaf individuals; familiarization with the specifics and culture of the deaf community; presentation of the methods of parental support; teaching sign language.

Course on specific issues of teaching deaf students
The course, designed for teachers of deaf children, covers the following issues: development of deaf individuals; familiarization with the specifics and culture of the deaf community; presentation of the methods of education and support of deaf students; teaching of sign language to teachers.

Course on specifics of education of students with hearing impairments
The course is designed for teachers of students with residual hearing and cochlear implants, introducing the specifics of development and instructional strategies for children with hearing impairments.

Course on education of low vision students
The course, designed for public school teachers and inclusive education specialists, introduces the strategies of accommodation for the educational environment, selection-application of supporting appliances and instruction of low vision students.

Braille system teaching course
The course, designed for public school teachers and inclusive education specialists, develops literacy skills by using Braille and Braille teaching strategies for blind students.

Mobility and spatial orientation teaching course
Training modules prepare specialists to be able to assist blind individuals in developing mobility and orientation skills.

ვნილი კურსი აცნობს მათ საგანმანათლებლო გარემოს მორგების, დამხმარე საშუალებების შერჩევა-გამოყენებისა და სწავლების სტრატეგიებს მცირემხედველი მოსწავლეებისთვის.

ბრაილის სისტემის შესწავლის კურსი

საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის განკუთვნილი კურსი ავითარებს ბრაილის გამოყენებით წერა-კითხვის უნარსა და ბრაილის სწავლების სხვადასხვა ტექნიკას უსინათლო მოსწავლეებისთვის.

მობილობა და სივრცეში ორიენტაციის სწავლების კურსი

სატრენინგო მოდულებით ხორციელდება სპეციალისტთა გადამზადება, რათა მათ შეძლონ უსინათლო პირთა მხარდაჭერა მობილობა-ორიენტაციის უნარის გამომუშავებისას.

კურსი სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პროფორიენტაციასა და კონსულტაციაზე

კურსი განკუთვნილია საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის, დამრიგებლებისთვის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის, კარიერის დაგეგმვის მენეჯერებისთვის. მოდული მონაწილეებს აცნობს ინკლუზიური განათლების კონტექსტში პროფესიული ორიენტაციის ძირითად პრინციპებს, მოსწავლის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენის, განხორციელებისა და დოკუმენტების წარმოების სხვადასხვა წესს.

მასწავლებლის სახლის მიერ აღნიშნული სატრენინგო მოდულების შემუშავებისა და მათი ჩატარებისას დასაქმდა ექვსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი - ოთხი ყრუ და ორი უსინათლო სპეციალისტი.

კურსები საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა, სტუდენტთა, მასწავლებელთა, მშობელთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეირჩა.

Course on vocational guidance and consultation for students with special educational needs

The course is designed for public school teachers, inclusive education specialists and career planning managers. The module introduces the key principles of vocational guidance, tools of planning and implementation of a student's individual transition plan and keeping documentation.

Six persons with disabilities (four deaf and two blind specialists) have been employed by the Teachers Professional Development Center while developing and conducting these training modules.

The courses were selected based on the analyses of the needs of students, teachers and parents in the educational environment.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ინკლუზიური და სპეციალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის უმაღლესი განათლების გზით სპეციალური განათლების სფეროში ადამიანური რესურსის გაძლიერება მნიშვნელოვანი ამოცანაა. უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიური და სპეციალური განათლების საკითხების სწავლების გაძლიერება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის უმთავრეს ფაქტორად არის განსაზღვრული.

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგა სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა და გამოცხადდა პირველი მიღება. კონკურსის შედეგად სამაგისტრო პროგრამაზე რვა სტუდენტი ჩაირიცხა.

აღნიშნულმა ინიციატივამ გაზარდა შესაძლებლობა, აკადემიურ დონეზე მომზადდნენ სპეციალისტები - სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მხარდამჭერ ადამიანურ რესურსს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში.

ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლა

ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროში ჩართულ სპეციალისტთა (მასწავლებლები,

Inclusive and Special Educational Programs at Ilia State University

The enhancement of inclusive and special education teaching at higher education institutions is an important task of the Ministry of Education and Science. This is considered the key factor for ensuring quality education for students with disabilities and special educational needs.

Special Education Master's Program

In 2014, the Special Education Master's Program was introduced at Ilia State University with the support of the Norwegian Ministry of Education and Research. After admission was announced, eight students were enrolled in the program through a competition.

This initiative increased the opportunity to train special education teachers who are the main human resource in the process of inclusive education introduction in the field of education in Georgia.

Inclusive Education Summer School

To enhance the qualification of general and vocational education specialists (teachers, special education teachers, psychologists, sign language interpreters), the Ministry of Education and Science of Georgia continues to support the inclusive education summer school (short-term courses).

სპეცმასწავლებლები, ფსიქოლოგები, ჟესტური ენის თარჯიმნები) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააგრძელა ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლის (მოკლევადიანი კურსების) მხარდაჭერა.

2014-2015 წლებში სამინისტროს შუამდგომლობით ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროდან მოწვეულმა სპეციალისტებმა უზრუნველყვეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ თემატური კურსების შექმნა, საკლასო დაკვირვება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საზაფხულო კურსების ტრადიცია დიდი პოპულარობით სარგებლობს და გამოირჩევა დასწრების მსურველთა დიდი აქტივობით.

საგანმანათლებლო რესურსების შექმნა

ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი

ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა გაძლიერებისთვის შეიქმნა გზამკვლევი, რომელშიც ასახულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ერთიანი ხედვა და რეკომენდაციები. აღნიშნული გზამკვლევით იხელმძღვანელებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას.

In 2014-2015, the specialists invited by the Norwegian Ministry of Education and Research with the mediation of the Ministry of Education and Science of Georgia , have ensured the improvement of local professionals and the development of thematic courses focused on challenges in the Georgian educational system.

The following courses were delivered: sign language training course; classroom observation.

The tradition of summer school courses, conducted at Ilia State University, is very popular and participation levels are high.

Development of Educational Resources

Inclusive Vocational Education Guidebook

To improve the team of specialists engaged in inclusive vocational education, a guidebook reflecting the joint vision and recommendations on the organization of the educational process for students with special educational needs has been developed. This guidebook will be used by the VET institutions in the planning and implementation of the educational process of students with special educational needs.

გზამკვლევი ასახავს შემდეგ საკითხებს:

ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი

სარჩევი:

- ინკლუზიური პროფესიული განათლების კონტექსტი საქართველოსა და მსოფლიოში
- პროფესიული განათლების მომზადების, დასაქმების პროცესის ორგანიზება და მისი მნიშვნელობა
- პროფესიული განათლების სისტემაში ჩარიცხვის ალტერნატიული წესი
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესი
- ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი წარმოება პროფესიული განათლების სისტემაში
- მულტიდისციპლინური გუნდური მუშაობა
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობები

The guidebook introduces the following topics:

Inclusive Vocational Education Guidebook

Content:

- Inclusive vocational education context in Georgia and worldwide
- Provision of vocational education, organization of employment process and its importance
- Alternative regulation of enrollment to the VET system
- Educational process for persons with special educational needs
- Document of individual transition plan
- Individual Education Plan and its application in the VET system
- Multidisciplinary team work
- Responsibilities of personnel engaged in inclusive vocational education process in VET institutions.

სახელმძღვანელო „შეფასება სწავლისათვის ინკლუზიურ სკოლებში“

საგანმანათლებლო სისტემაში შეფასების თანამედროვე მიდგომების დანერგვის მიზნით, 2014 წელს დაიბეჭდა სახელმძღვანელო - „შეფასება სწავლისათვის ინკლუზიურ სკოლებში“. სახელმძღვანელო ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შუამდგომლობით შექმნეს ნორვეგიელმა და ბრიტანელმა ავტორებმა - პროფესორმა რიჩარდ როუზმა და კნუტ როარ ენგმა.

Manual “Assessment for Learning in Inclusive Schools”

To introduce the innovative assessment approaches in the educational system, the manual “Assessment for Learning in Inclusive Schools” was printed in 2014. The manual was developed by Norwegian and British authors - Prof. Richard Rose and Knut Roar Eng with the assistance of the Norwegian Ministry of Education and Research.

შეფასების თანამედროვე მოდელის მიმართ დიდი ინტერესის გათვალისწინებით აღნიშნული სახელმძღვანელო ითარგმნა ქართულ ენაზე. სახელმძღვანელოში განხილული შეფასების მოდელი პირველად წარმოადგინეს 2012 წელს თბილისში გამართულ ინკლუზიური განათლების საერთაშორისო კონფერენციაზე, 2012-2013 წლებში კი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში.

2014 წელს სახელმძღვანელო თავად ნორვეგიელმა ავტორმა წარადგინა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

ბრაილის სწავლების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

უსინათლო მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ მასწავლებელთა და მშობელთა მხარდასაჭერად შეიქმნა ბრაილის სწავლების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (ელექტრონული ვერსია). სახელმძღვანელო განმარტავს ბრაილის სწავლების რამდენიმე ეფექტიან სტრატეგიას.

ქართული ჟესტური ენის ბანკი

ათწლეულების განმავლობაში საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ჟესტური ენა სწავლების საშუალებად არ გამოიყენებოდა, რის გამოც შეიზღუდა მნიშვნელოვანი ტერმინებისა და ცნებების ჟესტური შესაბამისობების დამკვიდრება.

Given the high interest in this innovative assessment tool, the manual was translated into the Georgian language.

The assessment model presented in the book was first introduced at the Inclusive Education International Conference in Tbilisi in 2012 and in 2012-2013 during the summer school held at Ilia State University.

In 2014, the manual was presented in higher education institutions of Georgia by the Norwegian author.

Braille teaching methodological manual

To support the teachers and parents engaged in the educational process of blind students, the Braille teaching methodological manual (electronic version) has been developed. The manual explains several effective strategies of Braille teaching.

Georgian Sign Language Bank

For decades, sign language had not been introduced as an instructional language in the Georgian educational system which hindered universal teaching.

სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისთვის აუცილებლობად განისაზღვრა ქართული ჟესტური ენის განვითარების ხელშეწყობა - ქართული ჟესტების იდენტიფიცირება, რეგისტრირება და გავრცელება პოტენციურ მომხმარებელთა შორის.

შემუშავდა საქართველოს კონტექსტში ჟესტური ენის განვითარების მეთოდოლოგია; ჟესტების შეგროვების, რეგისტრირებისა და გავრცელებისთვის შეიქმნა ჟესტების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის SignWiki-ის ქართული ანალოგი; ორგანიზაცია „საქართველოს ყრუთა კავშირი“ უზრუნველყოფდა პროცესში ჟესტური ენით მოსარგებლე ყრუ პირთა მონაწილეობას.

2014-2015 წლებში მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელოვანი ტერმინებისა და ცნებების ჟესტურ შესაბამისობებზე მუშაობა. დამუშავებული 2648 ჟესტის ამსახველი ვიდეორგოლი, შესაბამისი გრაფიკული გამოსახულება (სიტყვა) და ფოტო განთავსდა ვებგვერდზე - ge.signwiki.org.

მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული ვებგვერდის პოპულარიზაციის მიზნით.

პროფესიული განათლებიდან დასაქმებისკენ

2014 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად ჩაერთო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდამჭერი სერვისის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში. სამინისტრო აცნობიერებს, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება წარმატებულ ინიციატივად, თუკი მას კურსდამთავრებულთა დასაქმებაც მოჰყვება.

2014-2015 წლებში პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ 20 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კურსდამთავრებული დასაქმდა.

To ensure quality vocational education for students with hearing impairments, it was deemed necessary to promote the development of Georgian sign language entailing identification, registration of Georgian signs and dissemination among potential users.

The methodology of sign language development in the Georgian context has been elaborated. The Georgian analogue of electronic program "SignWiki" for sign collection, registration and promotion was created and the organization "The Union of Deaf of Georgia" ensuring participation through sign language for deaf individuals in this process.

Working on sign language relevance to the Important terms and concepts of National Curriculum and Vocation educational programs was held during the period of 2014-2015.

Video clips presenting 2648 signs, corresponding graphical images (word) and photos were uploaded to the web-page ge.signwiki.org. A promotional campaign of the web-page was also carried out.

From Vocational Education to Employment

Since 2014, the Ministry of Education and Science of Georgia has been actively involved in the development and implementation of employment support services for persons with disabilities, being aware that inclusive education can only be considered successful if it leads to the employment of graduates.

20 graduates with special educational needs have been employed during the period of 2014-2015.

დასაქმების მაჩვენებელი / Employment Data



დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდამჭერი გზების შესამუშავებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია დასავლეთის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და კვლევებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება.

2014 წელს დაიგეგმა და განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულებებისა და მზაობის კვლევა.

კვლევის მიზანი იყო იმ ძირითადი გამოწვევების, ხელშემწყობი ფაქტორებისა და წინაპირობების გამოვლენა, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმებისას იკვეთება.

თვისებრივი ხასიათის კვლევამ მოიცვა შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების გამოცდილების მქონე და აღნიშნული გამოცდილების არმქონე დამსაქმებლები. კვლევა ჩაატარა ორგანიზაციამ „აი ფი ემ კვლევები“.

Study of Employers' Attitudes

To develop the employment support services for persons with disabilities, the Ministry of Education and Science deemed it reasonable to share the best experiences of western countries and to apply research based approaches in its work.

A survey on the attitudes and readiness of employers towards employment of persons with disabilities/special educational needs was planned and implemented in 2014.

The goal of the survey was to identify the key challenges, supporting factors and preconditions, generally emerging in the employment of persons with disabilities/special educational needs.

The qualitative survey covered employers with and without experience of employing persons with disabilities/special educational needs, and was conducted by IPM Research.

The main difference between the employers with experience and employers without experience in the employment of persons with disabilities/special educational needs, is their subjective opinion on the abilities of the individuals. For respondents without

ძირითადი განსხვავება დასაქმების გამოცდილების მქონე და არმქონე დამსაქმებლებს შორის არის სუბიექტური წარმოდგენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების შესახებ. გამოცდილების არმქონე რესპონდენტებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის დასაქმება ძალზე რთულ საკითხად მიაჩნიათ, მაშინ როდესაც გამოცდილების მქონე რესპონდენტებისთვის ასეთი თანამშრომლის არსებობა სამსახურში, მის მიერ შესრულებული სამუშაო, კოლექტივთან ურთიერთობა და ადაპტაციის ხარისხი არათუ პრობლემებსა და განსაკუთრებულ ბარიერებს არ გულისხმობს, არამედ მიჩნეულია როგორც უპირატესობა წარმოებისთვის.

დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი დამსაქმებლები ახასიათებენ საქმისადმი გამორჩეული ერთგულებით, პუნქტუალობით, მაღალი სოციალური კომპეტენციით, სამუშაოსადმი ადეკვატური დამოკიდებულებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნული კვლევის შედეგებს დააფუძნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდამჭერი შემდგომი ღონისძიებები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდამჭერი სერვისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად გაიზიარა ევროპის მხარდაჭერითი დასაქმების მოდელი, რომელიც საქართველოს კონტექსტში წარმოადგინა ევროპის მხარდაჭერითი დასაქმების გაერთიანების ყოფილმა პრეზიდენტმა.

მხარდაჭერითი დასაქმების მოდელი გულისხმობს დაბალკონკურენტუნარიანი, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართვას შრომის ღია ბაზარზე დასაქმების კონსულტანტთა მხარდაჭერის საფუძველზე.

experience, the employment of persons with disabilities/special educational needs is a very complicated issue, while experienced respondents report that having such an employee at a working place, work performance, relations with the staff and quality of adaptation were not in any way detrimental to the company, and was in fact, on the contrary, beneficial.

Characterizing employees with disabilities, the employers noted the following attributes: high commitment to the work; punctuality; high social competence; adequate attitude to work; and high levels of responsibility.

The results of this survey served as a baseline for further employment support activities, carried out by the Ministry of Education and Science of Georgia.

Employment Support Service for Persons with Disabilities

Together with the Ministry of Labor, Health and Social Affairs, the Ministry of Education and Science shared the European-supported employment model that was presented in the Georgian context by the formal president of European Union of Supported Employment.

The supported employment model entails inclusion of people with disabilities and special educational needs in an open labor market with the support of job coaches.

2015 წელს მომზადდა გარემო საიმისოდ, რომ 2016 წელს საქართველოს მასშტაბით შერჩეულიყო 10 დასაქმების კონსულტანტი და ერთი კოორდინატორი (პროცესს კოორდინაციას უწევდა ბრიტანელი სპეციალისტი, აღნიშნული მიდგომის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვის მიზნით.)

2016 წელს დაგეგმილია: დასაქმების კონსულტანტთა რეკრუტირება და შერჩევა; სამუშაოსთვის მომზადება ტრენინგების გზით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების სერვისის გამართვა, ბენეფიციართა მომსახურება.

დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლება და მოტივაციის გაზრდა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების პროცესის მხარდასაჭერად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დამატებით რამდენიმე მიმართულებით იმუშავა:

- 2015 წელს მომზადდა პუბლიკაცია დამსაქმებლებისთვის. მასში ასახულია შემდეგი საკითხები: დამსაქმებელთა დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საქართველოში; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები; სამართლიანი მიდგომა მათი დასაქმებისას.

პუბლიკაციაში მოცემულია დამსაქმებელთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულ პირთა გამოცდილება და ხედვა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. პუბლიკაცია ვრცელდება დამსაქმებელთა შორის.

- 2014-2015 წლებში გაიმართა შეხვედრები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორ დამსაქმებლებთან და საქართველოში მოქმედ მსხვილ, საშუალო და მცირე მეწარმეებთან. შეხვედრებზე წარდგენილი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საერთაშორისო მოდელები, მონაწილე მხარეებთან გაიმართა დისკუსია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების უპირატესობის,

In 2015, arrangements were made for the recruitment of 10 job coaches and one coordinator throughout Georgia for 2016 (to ensure full compliance with the above-stated approach, the process was coordinated by a British specialist).

The activities planned for 2016 include the following: recruitment and selection of job coaches; training of selected job coaches; establishment of an employment service for persons with disabilities; provision of services to beneficiaries.

Enhancement of Employers' Awareness and Motivation



To support the process of employment of persons with disabilities, the Ministry of Education and Science of Georgia has carried out a number of activities:

- A publication for employers was developed in 2015, covering the following topics: attitudes of employers towards persons with disabilities in Georgia; factors affecting decisions on employment of persons with disabilities and fair approaches to their employment.

The publication provides the experience and vision of employers and employed persons with disabilities related to these issues. The publication was disseminated among employers.

თანამდევი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ; გაანალიზდა დამკვიდრებული სტერეოტიპები და ორგანიზაციებში მათი დასაქმების შესაძლებლობები.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემა

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა სისტემურ მიდგომას საჭიროებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვა და მათი მომზადება დასაქმებისთვის მოითხოვს:

- საგანმანათლებლო სისტემის მხრიდან ინკლუზიური პროფესიული განათლების პრიორიტეტად აღიარებას;

- ინკლუზიური განათლების პრინციპების მუდმივ გათვალისწინებას პროფესიული განათლების მიმდინარე რეფორმის პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნულ მიდგომას უპირობოდ უჭერს მხარს: ინკლუზიური განათლების პრინციპები გაზიარებულია სისტემის ყველა დონეზე, შექმნილია თანამშრომლობითი ქსელი როგორც უწყების შიგნით, ისე მის გარეთ.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი განსაზღვრავენ და მართავენ ინკლუზიური პროფესიული განათლების პოლიტიკას.

- პრაქტიკის დონეზე ინკლუზიური პროფესიული განათლების პრინციპების დაცვაზე ზრუნვა დელეგირებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ზრუნავენ საგან-

- Meetings with partner employers of the VET institutions, small- and medium-sized entrepreneurs and major industrialists operating in Georgia were organized in 2014-2015. International models of employment of persons with disabilities were presented at the meetings. Participants discussed the advantages and challenges emerging in the employment of persons with disabilities and means of problem solving, as well as existing stereotypes and opportunities of employment in their companies.

Inclusive Vocational Education and Training System

The introduction of inclusive vocational education in the Georgian educational system requires a systemic approach. Inclusion of students with special educational needs in the VET system and their training for employment requires the following:

- Recognition of the priority of inclusive vocational education within the educational system

- Permanent consideration of inclusive education principles in the process of current vocational education reform

The Ministry of Education and Science of Georgia unconditionally supports the following approach: inclusive education principles shared at all levels of the system; establishment of a cooperation network within and outside the Ministry.

- The structural units of the Ministry of Education and Science of Georgia – Vocational Education Development Department and National Curriculum Department ensure defining and management of inclusive vocational education policy.

- Observance of inclusive vocational educational principles at a practical level is delegated to the agencies subordinated to the Ministry of Education and Science of Georgia.

Legal entities of Public Law conduct the introduc-

მანათლებლო სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვაზე: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის ზრდას აღნიშნული მიმართულებით; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობას; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ზრუნავს პროფესიული განათლების ხარისხზე და ა. შ.

▸ ინკლუზიურ პროფესიულ განათლებას მხარს უჭერს პროფესიული განათლების ეროვნული საბჭო, რომლის მიზანია პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა, პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება.

საბჭოს ფარგლებში შექმნილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, დაქვემდებარებული უწყებების, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

▸ შედეგზე ორიენტირებული ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემის შენებისთვის, რისი ინდიკატორიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებულ უწყებებთან. კოორდინირებულად განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდამჭერი მექანიზმები.

▸ მოქალაქეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე დაუყოვნებლად რეაგირების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილია ინკლუზიური პროფესიული განათლების საკონსულტაციო ჯგუფი.

tion of inclusive vocational education. The National Center for Teachers' Professional Development oversees the enhancement of professional competence of vocational education teachers in this field while the Educational and Scientific Infrastructure Development Agency ensures physical accessibility for students. In addition, the National Center for Educational Quality Enhancement looks after vocational education quality.

▸ The inclusive vocational education is supported by the Vocational Education National Council, with the goal of promoting vocational education and issuing recommendations on policy planning and implementation.

The inclusive vocational education development thematic working group, composed of representatives of relevant units of the Ministry of Education and Science of Georgia, subordinated agencies and other state and non-state organizations were all founded within the Council.

▸ Establishment of outcome-oriented inclusive vocational education with the employment of graduates with special educational needs as a main indicator. The Ministry of Education and Science of Georgia intensively cooperates with the Ministry of Labor, Health and Social Affairs and its subordinated agencies in this area. Coordinated work has been carried out to define employment support mechanisms for persons with disabilities.

▸ To ensure the identification of special educational needs of individuals and immediate responses, an inclusive vocational consultative group was founded in the Ministry of Education and Science of Georgia. The group conducts discussions of an inclusive vocational education process, its assessment and the elaboration of recommendations for its effectiveness. The consultative group unites non-governmental organizations, working in the field of disability and related issues.

▸ To guarantee the quality of provided vocational education, the main principles of the approach

იგი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის განხილვას, შეფასებასა და რეკომენდაციებს მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად. საკონსულტაციო ჯგუფში გაერთიანებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

- ინკლუზიური პროფესიული განათლების მიწოდების ხარისხის უზრუნველსაყოფად, მიდგომის ძირითადი პრინციპები განმარტებული და გაზიარებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციებისთვის. ამაღლებულია მათი კომპეტენცია ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვის საკითხებში. დაგეგმილია პროფესიულ სასწავლებლებში სამეთვალყურეო საბჭოების ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით.

- ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდასაჭერად, მიმდინარე პროცესებზე ინფორმირებული არიან იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობები, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ფუნქციონირებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციირებით ადგილობრივ თვითმმართველობებთან რეგულარულად მიმდინარეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების განხილვა, დამსაქმებელთა ჩართულობის შესაძლებლობის ანალიზი და სხვა.

- ფართო საზოგადოების წინაშე ინკლუზიური პროფესიული განათლების შედეგების განსახილველად 2015 წელს გაიმართა ინკლუზიური განათლების მეორე საერთაშორისო კონფერენცია - „შექმენი შესაძლებლობა“.

საერთაშორისო კონფერენცია წარმოადგენდა პლატფორმას, დარგის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად განსაზღვრულიყო ინკლუზიური პროფესიული განათლების ძირითადი მიმართულებები, პროცესში ჩართულ პირთა დასაქმების პერსპექტივები და მხარდამჭერი მექანიზმები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა და წარმომადგენლებმა ინკლუზიური განათ-

were explained and shared with administrations of the VET institutions. Their competence in the management of inclusive vocational education has been improved and it is planned to enhance the awareness of supervisory councils in this direction as well.

- To support inclusive vocational education, information on current processes is provided to a local self- administration of the municipalities, where the VET institutions are functioning. The discussion of needs of persons with disabilities and analyses of opportunities of employers is regularly carried out by the initiative of the Ministry of Education and Science of Georgia.

- The international conference “Create the Opportunity” was conducted in 2015 for discussion of inclusive vocational education outcomes with a wide audience.

The international conference served as a platform for the field representatives and experts to define key directions of inclusive education, perspectives of individuals engaged in the process and the mechanisms of support. International and local experts in the inclusive education, vocational education and employment fields participated in the conference.

The conference participants were educated about the supported employment model in the Georgian context.

ლების, პროფესიული განათლებისა და დასაქმების სფეროდან.

კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ და მხარი დაუჭირეს საქართველოს კონტექსტში მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის პილოტირებას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატების ინდიკატორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან პროფესიულ განათლებაში მონაწილე და მასთან მოსაზღვრე მხარეებთან კოორდინირება და თანამშრომლობაა.

ინკლუზიური პროფესიული განათლების გამოწვევები

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიურ პროფესიულ განათლებას ხანმოკლე ისტორია აქვს. უპირატესად ამ მიზეზით არის განპირობებული არსებული გამოწვევები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აანალიზებს სისტემაში არსებულ საჭიროებებს და მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

ცდილობს, მაქსიმალურად მოიცვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის მიზნით.

2013 წლიდან, ინკლუზიური პროფესიული განათლების პირველი ინიციატივის შემდეგ, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში იზრდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობა.

2013 წელს, პირველი მიღებისას, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 51 იყო, 2015 წლის საშემოდგომო მიღებისას მათი რიცხვი 180 გახდა.

მიუხედავად ასეთი მაჩვენებლებისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უჭირს შეაფასოს, რამდენად მოიცვა მან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები მათი პროფესიულ განათლებაში ჩართვის მიზნით. ამის მიზეზია ის, რომ არ არ-

The coordination and cooperation of the Ministry of Education and Science of Georgia with parties engaged in vocational education and related areas are an indicator of successful inclusive vocational education.

Challenges in Inclusive Vocational Education

Inclusive education has a short history in the Georgian educational system which is a main cause of the challenges which exist in the field. The Ministry of Education and Science has analyzed the needs and is working in the following directions:

Maximum engagement of students with special educational needs in vocational education and training system

Since 2013, after the first initiative of inclusive vocational education, the number of students enrolled in VET institutions has increased.

For the first enrollment in 2013, the number of enrolled students with special educational needs was 51 and in fall 2015 this figure increased to 180. Despite the progressive indicators, it is still difficult for the Ministry of Education and Science of Georgia to assess to what extent it has managed to cover the enrollment of individuals with special educational needs in the VET system. The reason for this is the absence of a unified, statistical database on individuals with special educational needs and, among them, the number of those interested in getting vocational education.

სებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შეზღუდული შესაძლებლობის) მქონე პირთა, და მათ შორის, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა, ერთიანი სტატისტიკური მაჩვენებელი.

შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მხარს უჭერს უწყებათაშორის თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც გაუმჯობესდება შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა აღრიცხვიანობა. შედეგად, სამინისტრო შეძლებს ობიექტურ მსჯელობას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთაგან რამდენ პროცენტს მისცა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა და რამდენი დარჩა პროფესიული განათლების მიღმა.

აღნიშნული მაჩვენებლების დადგენას მოჰყვება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლების ფარგლებს გარეთ დარჩენის მიზეზების კვლევა და სამინისტროს დაუყოვნებელი რეაგირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

იმავდროულად, სამინისტრო ზრუნავს პროფესიული განათლების გეოგრაფიული მისაწვდომობის გაფართოებაზე (მიმდინარეობს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება; კოლეჯებში პანსიონის მომსახურების დამატება), რამაც, თავის მხრივ, პოზიტიური გავლენა უნდა იქონიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მომართვიანობაზე.

ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიული განათლების სისტემასა და დასაქმებაზე გადასვლის (ტრანზიციის) ორგანიზება

ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიული განათლების სისტემასა და დასაქმებაზე ტრანზიცია ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი კრიტიკული პროცესია. ის უკავშირდება სასურველი მომავლის განჭვრეტას, ცხოვრების მიმართულების არჩევასა და ახალი როლის შეძენას. გადაწყვეტილება ადამიანში თანდათან

Therefore, the Ministry of Education and Science of Georgia promotes inter-agency cooperation that will improve the registration of persons with disabilities and special educational needs. Subsequently, the Ministry will be able to discuss objectively what percentage of individuals with special educational needs were given the opportunity to acquire vocational education and the number of those not covered by the VET system.

The identification of these indicators will be followed by a study of reasons why some persons with special educational needs remain unreached by the VET system. Thereafter, the Ministry of Education and Science will respond appropriately within the scope of its competence.

At the same time, the Ministry is working on widening the geographical accessibility of vocational education (new VET institutions are being established; dormitories are being provided in VET institutions) which in its turn should positively influence the referral of individuals with special educational needs to VET institutions.

Organization of transition from general education to vocational education system and employment

The transition from general education to the vocational education system and employment is a critical phase in anyone's life. This stage can determine a person's future including what role he or she takes on in life. The process is gradual and implies several steps: assessment of one's own achievements; understanding one's own interests; becoming familiar with different life opportunities; and making informed decisions.

Often, in order to reduce the number of spontaneous choices made by individuals with special educational needs, appropriate support becomes necessary as these individuals still have limited opportunities to gain varied and interesting experience in society and become familiar with their own abilities and job placements.

ჩნდება, რაც გულისხმობს საკუთარი მიღწევების შეჯამებას, ინტერესებში გარკვევას, მომავლის მოწყობის სხვადასხვა შესაძლებლობის გაცნობასა და ინფორმირებულ არჩევანს.

იმისათვის, რომ შემცირდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიერ არჩევანის სპონტანურობა, არცთუ იშვიათად აუცილებელია შესაბამისი მხარდაჭერა. მათთვის შეზღუდულია საზოგადოებაში სხვადასხვა საინტერესო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, საკუთარი თავისა და დასაქმების ადგილების გაცნობა.

შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე დგას ტრანზიციის პროცესისა და პროფესიული ორიენტაციის ორგანიზების საჭიროება.

აღნიშნული მიდგომა მუშავდება და ინერგება ზოგადი განათლების საფეხურზე, პროფესიული განათლების სისტემაში და დამოუკიდებელი სერვისის სახით.

მუშავდება პროფესიული ორიენტაციის მეთოდოლოგია; მზადდება პროცესში ჩართული კადრი; 2016 წელს დაიწყება მიდგომების პილოტირება.

პროფესიული განათლების შესაბამისობა სტუდენტთა საგანმანათლებლო საჭიროებებთან

პროფესიულ სასწავლებლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სიმრავლე მოითხოვს პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ფართო და მრავალმხრივ კომპეტენციას, რაც საშუალებას მისცემს მათ, მოახდინონ საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირება და ეფექტიანი რეაგირება.

აღნიშნული მიმართულებით მასწავლებელთა დახელოვნება მიმდინარეობს მათი უწყვეტი გადამზადების გზით. თუმცა ინდივიდუალური და მოქნილი მიდგომების გამოყენებისას წარმატება მიიღწევა პრაქტიკისა და გამოცდილების დაგროვების ხარჯზე. პროფესიული განათლების მასწავლებლები არცთუ ისე დიდი ხანია, ახალი პროფესიული გამოცდილებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

Therefore, the Ministry of Education and Science needs to organize the transition and vocational guidance process.

This approach is being developed and introduced at the general education level, in the vocational education system and as an independent service. The vocational guidance methodology is being developed while the staff involved in the process are being trained. Piloting of the methodology will start in 2016.

Compliance of vocational education with educational needs of students

A high proportion of students with special educational needs in VET institutions require high and multilateral competences of vocational education providers. Competences that will enable them to clearly identify the needs and effectively respond to them.

The education of teachers is being implemented through continuous trainings, while success in the application of individual and flexible approaches can be achieved through accumulation of practice and experience. It's been not long that vocational education teachers are facing new professional experience and challenges and pro.

In addition, international practice shows that meeting the needs of students with special educational needs is possible only with the involvement of professionals with the relevant competence.

For example, the effectiveness of education of hearing impaired students is determined by the recommendations of deaf and hard of hearing students' teaching specialists (surdopedagogs). The same can be said of visually impaired students and the importance of specialists (tiflopedagogs) in that area.

Specialized staff are in short supply in the Georgian educational system which is a fundamental reason for all students' needs not being fully met.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს აგრეთვე, რომ სტუდენტთა სპეციფიკური საჭიროების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალთა ჩართულობით. მაგ., სმენის დარღვევის მქონე პირთა საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას მეტწილად განსაზღვრავს სურდოპედაგოგთა რეკომენდაციები; მხედველობის დარღვევის მქონე პირთა განათლებას კი - ტიფლოპედაგოგების მონაწილეობა.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ასეთი კადრების ნაკლებობაა და შესაბამისად, სტუდენტთა საჭიროებებიც სრულად არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცნობიერებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აღნიშნული კადრების მომზადების საჭიროებას და გამოდის ინიციატივით, სასწავლებლებში დაინერგოს ვიწრო პროფილის სპეციალისტთა საკვალიფიკაციო კურსები.

2016 წლის ინიციატივები

ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის 2016 წელს მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებები:

- უწყებათაშორისი დიალოგისა და კოორდინაციის გაძლიერება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობის ზრდა;
- მიწოდებული პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა.

The Ministry of Education and Science of Georgia is fully aware of the need to train these personnel within the higher education system and has launched specialized qualification courses for specialty areas.

Initiatives for 2016

To ensure sustainable development of inclusive vocational education, in 2016 the Ministry of Education and Science of Georgia will work in the following directions:

- Enhancement of inter-agency dialogue and coordination;
- Increase the number of enrolled students with special educational needs;
- Improvement of provided vocational education quality;
- Increase the number of employed graduates.